ცნობა

გიორგი კვირიკაშვილი დაიბადა 1967 წლის 20 ივლისს.

1984 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა.

1991 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

1995 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (სპეციალობა - მრეწველობის დაგეგმვა).

1986–1988 წლებში მსახურობდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში.

1997–1998 წლებში სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ილინოისის უნივერსიტეტში (University of Illinois at Champaign-Urbana, IL, USA) და მიენიჭა მაგისტრის ხარისხი.

1993-1996 წლებში მუშაობდა „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" (საწყისი პოზიცია – აკრედიტივების ოფიცერი, საბოლოო პოზიცია – საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე).

1996–1997 წლებში იყო „ექსპორტ–იმპორტ ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი.

1998–1999 წლებში იყო „გაერთიანებული ქართული ბანკის" ფილიალების მართვის დეპარტამენტის დირექტორი.

1999 წელს მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ფისკალური, ფულად-საკრედიტო და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოადგილედ, საქართველოს მთავრობისა და USAID-ის ერთობლივი პროგრამის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელად.

1999–2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კომიტეტის წევრი.

2004–2006 წლებში მუშაობდა „პირველ კომერციულ ბანკში".

2006–2011 წლებში იყო ბანკი „ქართუს" გენერალური დირექტორი.

2012 წელს მუშაობდა ლენზი-ფიშერ-ჰენდრის (Lenzie Fisher Hendry LLC – Economic Development Consulting) ეკონომიკური განვითარების საკონსულტაციო კომპანიაში;

USAID-ის საპენსიო რეფორმა სომხეთის რესპუბლიკაში, ფინანსური ინსტიტუტების კომპონენტი;

მსოფლიო ბანკის პროექტი მალდივების რესპუბლიკაში – დახურული კორპორაციული ობლიგაციების ბაზარი.

2012 წლის 25 ოქტომბრიდან 2015 წლის პირველ სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი.

2013 წლის 26 ივლისს დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

2015 წლის პირველ სექტემბერს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.